თეთრები TETREBI

ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ:

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ „ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲝᲠ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲡ

- **ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ**
- **ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ**

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ:

1. **ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲠᲝᲑᲐ** 60% -Ს ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ;

2. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი სახსრები, რათა მიმართოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს **არა სამკურნალოდ**, არამედ მხოლოდ დიაგნოზის დასადგენად და ელემენტარული, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და კონსულტაციისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად;

3. პენსიონერთა და ინვალიდთა (მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი) პენსიები და შემწეობები კვალიფიკაციის არმქონე სამთავრობო „ექსპერტების“ მიერ გამოანგარიშებულ „საარსებო მინიმუმის“ **50% -ს შეადგენს**

4. ოთხსულიანმა ოჯახმა თვეში 256 ლარით **უნდა იცხოვროს**;

5. ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის პოტენციალი უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი მოქმედებებით უკიდურესად სახიფათო დონემდეა დაწეული;

6. პრეზიდენტის ქებას კარგი მუშაობისთვის იმსახურებს „პატიმართა მინისტრი“, მაშინ, როდესაც საქართველო პატიმართა ფარდობით (100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით) მაჩვენებლით **მსოფლიო ლიდერია (აშშ და რუსეთთან ერთად);**

7. ეკონომიკური განვითარების მინისტრი უზარმაზარ, ბოლო წლებში განსაკუთრებით მაღალი ტემპებით მზარდ საგარეო ვალებს პრობლემად არ მიიჩნევს და საქართველოში **ეკონომიკურ ძირითად პრიორიტეტად ტურიზმს ასახელებს.**

8. 400.000-მდე ლტოლვილი, რომელთა ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, მორალური მხარდაჭერა და დახმარება ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, სრულ სოციალურ დისკრიმინაციას განიცდის;

9. ხელისუფლების ხელშეწყობითა და უშუალო მფარველობით შექმნილი მონოპოლიური სტრუქტურები, საკუთარი პროდუქციაზე, მომსახურებაზე, მათ მიერ იმპორტირებულ საქონელზე **თავად აწესებენ** ფასებს – **მსოფლიო რეალობისათვის წარმოუდგენელი (200 – 300%-ნი) მოგების უზრუნველსაყოფად;**

10. განადგურებულია ოციოდე წლის წინ არსებული და აღიარებული **საერთაშორისო დონის სამეცნიერო პოტენციალი**;

11. განათლებისა და უმაღლესი განათლების სისტემამ მკაფიოდ და დაუფარავად აიღო კურსი მხოლოდ სხვადასხვა დარგებში **მომსახურებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო** კადრების მომზადებაზე;

12. კერძო (!) კომპანიებისადმი გადაცემული უფლებები ამა თუ იმ სფეროში მოქალაქეთა დაჯარიმებისა და ამ ჯარიმების ოდენობათა დადგენის, ისედაც უუფლებო და გაღატაკებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკებისა და მოქალაქეობრივი დამცირების მიზეზი გახდა.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ:

1. 2003-2010 წლებში ქვეყნის ეკონომიკაში **რეალური სექტორის** (განვითარების ძირითადი მაჩვენებლის) წილი **43,4%-დან 27,1%-მდე** დაეცა;

2. 2010 წელს (I- II-III) კვარტლების მონაცემებით) **აგრარულ სექტორზე** მთლიანი შიდა პროდუქტის **მხოლოდ 7,2%** (!!) მოდის;

3. იგივე **აგრარულ სექტორში,** სადაც ხელისუფლების შეფასებით თითქმის 900 000 ადამიანია **„თვითდასაქმებული“** (რაც უმუშევრობის რეალურად არსებულ 60%-იან მაჩვენებლის 17% -მდე „დაყვანის“ მიზეზია), ხოლო მათ მიერ შექმნილი დამატებითმა ღირებულებამ ერთ ადამიანზე დაანგარიშებით წელიწადში **1400 ლარი** შეადგინა, რაც საქართველოში ერთ დასაქმებულზე ისედაც უკიდურესად დაბალ საშუალო მაჩვენებელზე – **10.400 ლარი – თითქმის 8-ჯერ ნაკლებია;**

4. ხელისუფლების მიერ რეალური შეხედულებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად გაწეულმა **საბიუჯეტო ხარჯებმა თავისი უყაირათობით, დაუსაბუთებლობით, ხოლო ხშირად კორუფციული და კანონსაწინააღმდეგო ხასიათით - ყოველგვარ ზღვარს გასცდა** (უხარისხო საგზაო მშენებლობა, უსახური და ქართული ტრადიციებისა და მოსახლეობის მოთხოვნებისა და გემოვნებისათვის მიუღებელი იერსახის შენობებისა და ობიექტების აგება, უცხოური შოუ-ბიზნესის საკმაოდ მდარე ხარისხის „ვარსკვლავთა“ მომსახურება, სახელმწიფო მოხელეთა მიერ საკუთარი თავისათვის დანიშნული ხელფასები, პრემიები, ბონუსები, კომპენსაციები, სამივლინებო ხარჯები და ა.შ);

5. გაუმართლებელ საერთაშორისო **„სამხედრო პროექტებში“** მონაწილეობა, რამაც მრავალი ქართველი ახალგაზრდა უკვე შეიწირა და რასაც არანაირი, მათ შორის პოლიტიკური დასაბუთება არ გააჩნია და რასაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გაუმართლებელ უზნეობად და ერის წინაშე დანაშაულად მიიჩნევს;

6. **საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ოდენობით** – ერთ სულ მოსახლეზე 35 აშშ დოლარი – 170 ქვეყანას შორის 149-152 ადგილებს ვიყოფთ **იემენთან, ტოგოსთან და ერითრიასთან** ერთად.

7. **საშუალო ხელფასის** (600 ლარი) ოდენობის პირობებში (რასაც სრულიად „კონკრეტული“ **მიზეზები** გააჩნია) მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 248 ლ(!) და ექიმთა საშუალო ხელფასი კი – 340 ლ. შეადგენს, ანუ 2-ჯერ ნაკლებია ქვეყანაში საშუალო ხელფასზე **იმ კატეგორიის წარმომადგენელთა ანაზღაურება , ვისაც ჩაბარებული აქვს ყველაზე მაღალი ფასეულობები - ადამიანის ჯანმრთელობა და მომავალი თაობის აღზრდა;**

ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მოყვანილი ინფორმაცია სრულიად საკმარისია იმის დემონსტრირებისათვის, რომ დღევანდელ საქართველოს ჰყავს **ანტისახალხო ხელისუფლება, რომელსაც არც შეუძლია და არც სურს მართოს ქვეყანა ისე, რომ უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, უზრუნველყოს ქვეყნის, მისი რესურსების, ადამიანური და გეოსტრატეგიული პოტენციალის გათვალისწინებით ნორმალური განვითარება, დაამყაროს საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველ წევრთან ისეთი ურთიერთობები, რომლებიც ადექვატურად ასახავენ საქართველოს ადგილსა და როლს თანამედროვე მსოფლიოში**

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

- **საქართველოში** ბოლო სამი წლის (2008-2011) **მშპ** (მთლიანი შიდა პროდუქტი) ზრდის საშუალო ტემპი **მხოლოდ 1,58 -ია% (აზერბაიჯანში** – 8,35%)

- **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების** კლება 2007 წელთან შედარებით – 3,3-ჯერ

- სამომხმარებლო ფასების უპრეცედენტო (მსოფლიო ფასებთან შედარებით) ზრდა. მაგ: **2010 წლის დეკემბერში** 2009 წლის დეკემბერთან შედარებით – 23,1%-ით

- **მიგრანტების მიერ საქართველოში გადმორიცხულმა თანხამ** 2010 წელს შეადგინა 740 მლნ. აშშ დოლარი, რაც ბოლო ორი წლის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 140% **შეადგენს (ანუ სიღარიბის ზღვარზე მცხოვრები მოგრანტები საქართველოს ძირითადი ინვესტორები არიან.)**

- **საქართველოს წილი** სამხრეთ კავკასიის მშპ -ში 7,2% -მდე დაეცა.

- **შრომის მწარმოებლობის** უკიდურესად დაბალ მაჩვენებელი – 10, 400 საშუალო, ხოლო აგრარულ სექტორში – 1400 ლარი ერთ მომუშავეზე.

- **ქვეყნის სასურსათო კალათის** მოცულობაში 2/3 – იმპორტირებული პროდუქტია (თბილისში-4/5)

- **სოფლის მეურნეობაში** დაკავებულ მეწარმეთა 1,3% (2001-2005 წლების საშ. **რაოდენობაზე ნაკლები). მაშინ როცა სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულთა რაოდენობა იმავე პერიოდში ქვეყანაში 12,4% – ით გაიზარდა.**

- **სახელმწიფო ასიგნების** საერთო მოცულობიდან **სოფლის მეურნეობაზე** მოდის – 0,82% (!!)

- 2008 – 2010 წლებში **აგრარულ სექტორში** შემოვიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოოდ 1,08% (!) – 45,6 მილიონი აშშ დოლარი.

- **განათლებასა და ჯანდაცვაზე** გაწეული ხარჯები **1,5-ჯერ** ნაკლებია ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე გაწეულ ხარჯებზე (2010წ)

- **ხელისუფლება მუდმივად ზრდის საკუთარ თვითდაფინანსებას** – 2010 წ. სახელმწიფო მომსახურების წილი შეადგენდა ბიუჯეტის ხარჯების 27,7% და 1,6-ჯერ გაიზარდა ბიუჯეტის მთლიან ზრდასთან შედარებით (!).

- მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ხელფასმა და პენსიებმა და შემწეობებზე დაკარგა თავისი ეკონომიკური ფუნქცია.

პენსია და შემწეობა (80ლ.) ხელისუფლების მიერ განსაზღვრული საარსებო მინიმუმის მხოლოდ 50%-ია.

ყოველი 1 000 მცხოვრებიდან საქართველოში დაქირავებით დასაქმებულია მხოლოდ 140 ადამიანი (**რუსეთში** - 370, **დას. ევროპაში** – 408, **აღმ ევროპაში** – 395, აშშ – 426)

- **საშუალო ხელფასი** (მოსახლეობისათვის ერთსა და იმავე რაოდენობაზე დაქირავებით დასაქმებულებზე) **საქართველო** აშშ -ს 3,5% შეადგენს, მსყიდველობითი უნარიანობით – 6,7%, ანუ:

ხელფასის რეალური მსყიდველობითი უნარიანობა **საქართველოში აშშ -ზე** თითქმის **15-ჯერ** დაბალია.

ამავე დროს: ფასების დონით საქართველო უტოლდება აშშ -ს, **ხოლო რიგი სამომხმარებლო საქონლის ფასით უსწრებს კიდეც.**

– 2003-2010 წლებში **მშპ ორჯერადი ზრდის** პირობებში, მოსახლეობის ფულადი სახსრებიც გაიზარდა 2,5-ჯერ, **მაგრამ ნატურალური შემოსავლების სიდიდე არა თუ არ გაზრდილა, პირიქით შემცირდა – რეალურ განზომილებაში 43%-ით.**

- კონტროლის პალატის შემოწმებით დადგინდა, რომ სახელმწიფოს მიერ დამზღვევი კომპანიებისათვის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაზღვევამ გადაცემულ 289.000.000 ლარიდან, ამ უკანასკნელთა მიერ დაზღვეულებზე დახარჯულ იქნა 114.000.000 ლარი **ხოლო ამ კომპანიების განკარგულებაში დარჩა – მოგებად გაიფორმეს 170.000.000 ლარი.**

ამის გარდა, სადაზღვევო კომპანიებში კრიმინალის ფაქტებიც დააფიქსირეს. მაგ. სადაზღვევო კომპანია „ალფას“ ორი თანამშრომელი 2010 წლის 4 თვის განმავლობაში **1,730.000 ლარის მითვისების გამო დააკავეს.**

- **საქართველო ბერდება.** 2010 წელს საქართველოს მოსახლეობს საშუალო ასაკი 31,2 წლიდან გაიზარდა 37,6 წლამდე.(**მსოფლიოში** საშუალო ასაკია 29,1 **აზერბაიჯანში** 28,4, **სომხეთში** 31,2, **თურქეთში** - 28,3).

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲘᲛ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ (ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓᲐᲪ) ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ.

ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით **საქართველოში განათლების** წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში **2-ჯერ,** ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში – თითქმის **1,5-ჯერ** ნაკლებია, **ჯანდაცვაზე** გაღებულ ხარჯებში, შესაბამისად **3,3-ჯერ** და **2,3-ჯერ**, ხოლო **სო-**

ციალურ დაცვაზე გაღებულ ხარჯების მიხედვით – 1,9-ჯერ და 2,1-ჯერ.

საერთაშორისო შედარებები შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგალითად საერთაშორისო შედარებები შეიძლება განხორციელდეს ***იმ სამუშაო დროთა შედარებით, რომლებიც აუცილებელია ერთსახელიანი სამომხმარებლო დოვლათის შესაძენად საჭირო ხელფასის გამოსამუშავებლად.*** ამასთან, შედარებების განხორციელება შესაძლებელია როგორც ერთი ქვეყნის მიხედვით სხვადასხვა დროებრივ მონაკვეთში, ისე ერთი და იმავე დროისათვის სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

ერთ-ერთი ასეთი ინდიკატორია დრო იმ ხელფასების გამოსამუშავებლად, რომელიც აუცილებელია უძრავი ქონების ტიპიური 70-კვადრატულ მეტრიანი ბინის შესაძენად ქალაქის არაცენტრალურ ნაწილში. ამგვარი ბინის შესაძენად საჭირო ხელფასების გამოსამუშავებლად საჭირო დრო დღეისათვის შეადგენს (წლებში):

ბერლინი – 3, ნიუ-იორკი – 5,7, რიგა - 6,8, ოსლო - 10, თბილისი 13,8, პარიზი – 19,0, სინგაპური - 36 (საინტერესოა, ამ მხრივ თუ გავუთანაბრდებით სინგაპურს!)

ერთი კილოგრამი პურის შესაძენად საქართველოშისაჭირო ხელფასის გამოსამუშავებლად **1988 წელს** საჭირო იყო **24,6 წუთის** შრომა, **2010 წელს** – უკვე **32,4 წუთის** შრომა, **ხორცის** შესაძენად, შესაბამისად, 3 სთ და 27 წთ., ხოლო **2010 წელს** 2 სთ. და 57 წთ., **1 კვტ.სთ. დენის** საფასურის დასაფარად 1988 **წელს** საჭირო იყო 2,5 წთ. ექვივალენტური ხელფასი, 2010 წელს კი – 3,7 წთ., ერთი **კუბური მეტრი ბუნებრივი აირის** შესაძენად, შესაბამისად, **3,6 წთ. და 11,0 წთ. წყლის გადასახადის** დასაფარად – 24,6 წთ. და 67,2 წთ. (**2010 წელს** – 1 სთ და 76,2 წუთი) და ა.შ.

ანალოგიური შედარებების განხორციელება შესაძლებელია სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. მაგალითად, **2010 წლის დეკემბრის** სამომხმარებლო ფასებისა და საშუალო ხელფასების თანაფარდობის გათვალისწინებით, **ერთი ლიტრი ბენზინის შესაძენად საქართველოში საჭირო იყო 32,5 წთ. შრომის ანაზღაურება, აშშ -ში კი მხოლოდ 2,5 წთ.** შრომის შესატყვისი ანაზღაურება. **1 კვტ. სთ. ელექტროენერგიის** შესაძენად შესაბამისად, **2,8 წთ. და 0,4 წთ., ბიგ-მაკის** შესაძენად – **1 სთ და 65 წთ და 11,9 წთ** და ა.შ.

მნიშვნელოვანია საქართველოს ჩამორჩენა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის წევრი ქვეყნებისაგან **განათლებაზე და ჯანდაცვაზე** გაღებული ხარჯებით. დღეისათვის წმინდა **სოციალური მიმართულებების ხარჯებს** (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა) საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტში **მხოლოდ მესამედი უკავიათ (33,8%)** მაშინ, როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში – **თითქმის $^3/_4$ (74,0%) ასევე 3-ჯერ და მეტად** ჩამორჩება საქართველო ევროკავშირის ქვეყნებს ზემოთხსენებული ხარჯებით მთლიან შიდა პროდუქტში **(საქართველო - 9,5%, ევროკავშირი – 30,4%).**

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში თავისთავად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ჯერადად ნაკლებია. შესაბამისად, **სხვაობა დაფინანსების აბსოლუტურ მასშტაბებში, კიდევ უფრო მეტი იქნება.**

მოსახლეობის ერთ სულზე **განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების მოცულობა** საქართველოში შეადგენს დაახლოებით **120 აშშ დოლარს,** მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი **ბულგარეთში 520 დოლარამდეა, რუმინეთში - 600, სლოვაკეთში - 700, უნგრეთსა და პოლონეთში 1000 -1000 , ლიტვასა და ლატვიაში – 1100-1100. ესტონეთსა და იტალიაში – 1400-1400, საფრანგეთში – 2000, ნიდერლანდებში - 2100, დიდ ბრიტანეთში – 2300, დანიასა და შვედეთში – 2600-2600, ნორვეგიაში – 2800 , ლუქსემბურგში - 3600.**

ამასთან, საქართველოს ჩამორჩენა ამ ქვეყნებისაგან განათლებაზე გაღებული ხარჯებით ორჯერ და მეტად უფრო მაღალია, ვიდრე ადგილი აქვს ეკონომიკურ ჩამორჩენას შესაბამის ქვეყნებთან.

კიდევ უფრო არასახარბიელო პროპორციები ყალიბდება საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის **ჯანდაცვის ხაზით.**

მოსახლეობის ერთ სულზე **ჯანდაცვაზე** ხარჯები საქართველოში, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით, **შეადგენს 384 აშშ დოლარს** (საშუალო მსოფლიო დონის მხოლოდ 44,2%) ამ ინდიკატორით საქართველო მსოფლიოს 194 სახელმწიფოდან 99 ადგილზეა.

ჯანდაცვაზე მთლიანად გაღებული ხარჯების თანაფარდობით მთლიან შიდა პროდუქტთან (8,2% საქართველო ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (9,7%) უსწრებს საშუალოდ განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (6,4%) მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება მაღალგანვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს (11,3%).

მსოფლიოში ამჟამად ორ ათეულზე მეტ სახელმწიფოში ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ორნიშნა რიცხვით გამოისახება. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია აშშ, სადაც მხოლოდ ჯანდაცვაზე გაღებული **ხარჯების მოცულობა (7285$), თითქმის 1,5-ჯერ აღემატება** საქართველოში მოსახლეობის **ერთ სულზე წარმოებული** მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას. შედეგად: დღეისათვის **აშშ საქართველოს** უსწრებს ეკონომიკურად (ერთ სულზე წარმოებული შიდა პროდუქტით) – **19,1 – ჯერ** ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებით კი ფაქტობრივად - **38,1-ჯერ.**

ახალი პოლიტიკური ძალა
"თეთრი მოძრაობა" ("თეთრები")
23 მარტი 2010 წელი

მთავრობა პარლამენტში - სამარცხვინო სპექტაკლი ტყუილების კორიანტელით

ფრაგმენტები „თეთრების“ პრესკონფერენციიდან (მომხსენებელი თემურ შაშიაშვილი)

25 მარტი 2011

პარლამენტში სამთავრობო კვირეული უპრეცედენტოდ დაიწყო – პრემიერის, ფინანსთა და ეკონომიკიე მინისტრების გამოსვლებიდან გაირკვა, რომ დიდი წარმატებებია სოფლის მეურნეობაში, სიღარიბე 4-ჯერ შემცირდა, წამლები იაფდება, ინვესტიციები იზრდება.

არათუ პოლიტიკოსისათვის, რიგითი მოქალაქისათვისაც კი ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია, რადგან მათ გაცილებით უკეთ იციან, რომ ყველაფერი ეს ტყუილია, იციან, რომ უკვე ამ ხელისუფლების მართალიც კი ძნელად დასაჯერებელია... მინდა მოგაწოდოთ სახელდახელო ანალიზის ზოგიერთი შედეგი.

I. „სოფლად აღმავლობაა“ – დიდი ტყუილი.

- უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში სახნავ-სათესი ფართობის დამუშავება შემცირდა 65%-ით. (იმ პირობებში რომ 1 წუთში მსოფლიოში 2 ჰა. მიწა იკარგება, ხოლო საქართველოში ერთ სულზე მოდის მხოლოდ 0,17 ჰა, ხოლო – მუშავდება 0,04 ჰა).
- ხორბლის, ბოსტნეულს და ხილის მოსავალი შემცირდა 50-80% – ით, საქართველომ პრაქტიკულად დაკარგა სასურსათო დამოუკიდებლობა.
- **ევროკავშირმა, აშშ, USAID** – მა უზარმაზარი სახსრები მიმართეს საქართველოში სოფლის მეურნეობის რეალური განვითარებისათვის.

შედეგი: ბოლო სამ წელიწადში სოფლის მეურნეობაში საერთო პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა **40.000.000** ანუ წელიწადში **13.000.000$**.

საქართველოში 4.000 სოფელია, მარტო ამით რომ ვიმსჯელოთ 1 სოფელზე მოდის 3.300$ წელიწადში. **ამით უნდა ააღორძინოს ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა და „თვითდასაქმებულთა“ 1 მილონიანი არმია?**

მაგრამ ეს ვიცით. რა არ ვიცით?

სად წავიდა სოფლის მეურნეობის **მიზნობრივად** გამოყოფილი ინვესტიციები?

ხოლო როცა ცნობილი გახდება, თუ **სად წავიდა**, დადგება უფრო **მნიშვნელოვანი კითხვები:**

– **რატომ წავიდა? როგორ დაიხარჯა?** და მთავარი: **ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი** – ანუ საჭიროა სარჩელის შეტანა ხელისუფლების წინააღმდეგ. სარჩელების კორიანტელი უნდა დადგეს და ამას ცალკე რესურსი ესაჭიროება.

ხომ არ აჯობებდა

ტანია მარიას და ტოტო კუტუნიოს ძვირადღირებულ მოწვევას, ხომ არ აჯობებდა, უფასოდ ჩამოეყვანათ ისეთი პიროვნებები, ქართველები, მსოფლიოში აღიარებული ექსპერტები – ეკონომისტი ნოდარ სიმონია – (**ИМЕМО-**ს – მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორი ბოლო წლებში) ან **ბაგრატ სანდუხაძე**, რომელიც მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს ხორბლის მოსავლიანობის გაზრდაში (საქართველო. 2010 წ. 9-10 ც/ჰა. პოლონეთი – 8ც/ჰა, ინგლისი.- 80ც/ჰ, ირლანდია – 88ც/ჰ, ეგვიპტე – 65ც/ჰ, ტაჯიკეთი (!)-22ც/ჰ. საქ. 1980 წლებში 20-22ც/ჰა) სანდუხაძე – 130ც/ჰა, მოსკოვის ოლქში - არა საუკეთესო ადგილზე ხორბლისათვის.

ინიციატივა:

შეიქმნას სტრუქტურა, რომელიც აკუმულირებას გაუკეთებს წარმოქმნილ შეკითხვებსა და ეჭვებს და სისტემატიზირებული დოკუმენტის სახეს მისცემს.

ეს ყველა ცალკეულ ბრალდებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი, და რაც მთავარია, საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივის მქონე პროტესტის გასაგები და მისაღები ფორმა იქნება, რომელსაც შედეგი უნდა მოჰყვეს.

II. სიღარიბე 4-ჯერ შემცირდა - დიდი ტყუილი.

ქვეყნის მოსახლეობის 50% -ზე მეტი სახსრების უქონლობის გამო იღებს სიცოცხლისათვის საჭირო კალორიების ნახევარზე ნაკლებს. მოსახლეობის მხოლოდ 15-მდე პროცენტს ააქვს საშუალება სიცოცხლისათვის საჭირო რაოდენობის კალორიების მიღება.

ხელისუფალთა შემოსავლები გაიზარდა 200-დან 14–16 ათას ლარამდე, ანუ 50–60-ჯერ. პენსია 4-5-ჯერ – 14-დან 80 ლარამდე.

600 ლარი – საშუალო ხელფასი ქვეყანაში
მასწავლებლების საშუალო ხელფასი – 248 ლარი
ექიმის საშუალო ხელფასი – 340 ლარი
იმ ოჯახმა რა ქნას, სადაც 3 უმუშევარია და 1 პენსიონერი – ხომ 256 ლარი ერგება ხელისუფლების გათვლით?!

256 ლარი კი არა თვეში 400 ლარიც კი ვერ მისცემს არსებობის საშუალებას – აქედან გამომდინარე ყველა პერსპექტივებით: განუვითარებლობა, უკურნებელი დაავადებები, სულიერი ტანჯვა, მორალური დეგრადაცია. მოსახლეობის 80% – ს ყველა უფლება წართმეული აქვთ. გარდა არჩევნებზე **ხელისუფლებისათვის ხმის მიცემის უფლებისა** .

უკვე აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაშიც კი ძნელად საპოვნია ქვეყანა, სადაც მასწავლებლის, ექიმის, კულტურისა და სპორტის სფეროს მუშაკების ხელფასი ამდენჯერ ნაკლები იქნება ხელისუფლების წარმომადგენლებისა და იმ ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე.

III. წამლები იაფდება – დიდი ტყუილი.

„ავერსის“ პროდუქცია **სომხეთში** უფრო იაფია, ვიდრე **საქართველოში**. რა, ჰუმანიტარული დახმარებას უწევს „ავერსი“ სომხეთს? არა, ის ფასიც კი მოგების მომტანია. მაშ, რატომ იღებს საქართველოს მოსახლეობისგან უფრო დიდ, **ანუ ზემოგებას?**

მეორე: თუ ახლა იაფდება წამლები (როცა მთელს მსოფლიოში მათზე ფასები იზრდება), ეს იმას ნიშნავს, თუ როგორი რეზერვი ჰქონდა **პსპ, „ავერსსა“** და სხვა ფარმაცევტულ კომპანიებს და რა მოგება ჰქონდათ აღნიშნულ კომპანიებს ადრე, თუნდაც 2010 წელს, დღევანდელი ე.წ. 20.30, 40% -იანი ფასდაკლებით გაყიდვაც მოგების მომტანია, ადგილობრივი ავადმყოფების ხარჯზე.,

- წამლების ხარისხი – განსაკუთრებული თემაა!

უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული **ანალიზით,** ქართული ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციაზე ფასები გაზრდილია 150, 200, 350% აგრეთვე 700 და 900% (!!!) -ით.

მაგალითად: ვალოკორდინი – (დამატებითი ღირებულება – 208%)

სოფრადექსი (დამატებითი ღირებულება – 357%)

PEO (PSP ჯგუფის პროდუქცია) – (დამატებითი ღირებულება – 735%)

სალბესანი ("ავერსის" პროდუქცია) – (დამატებითი ღირებულება – 854%)

(წყარო:www.bizonne.info.markets/125090250.php).

IV.ინვესტიციები იზრდება – დიდი ტყუილი

საქართველოს ძირითადი ინვესტორები მიგრანტებია – უცხოეთში სიღატაკეში მცხოვრები ადამიანების ინვესტიციები 1,5-ჯერ მეტია ჯამურ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

მთავარი!

მასივი ნეგატიური სტატისტიკის იმდენად დიდია, რომ მის ფიქსაციას აზრიც ეკარგება. თითოეული ფაქტი ამ მასივიდან ქვეყანათა უმრავლესობაში მთავრობის, სულ ცოტა, გადაყენებას გამოიწვევდა, შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც. ამიტომ – საჭიროა პასუხის მოთხოვნის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება.

ახალი პოლიტიკური ძალა
„თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“)

მისამართი: 0179, თბილისი, ღამბაშიძის ქ. № 4
ტელ.: 443 446: 8 (90) 40 54 55;
ფაქსი: 443447
ელ-ფოსტა: tetrebigeorgia@gmail.com;
ვებ-გვერდი: www.tetrebi.org

დუმილი დღეს ღირსების დაკარგვის ტოლფასია